თანამედროვე მეტეოროლოგიური ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია გამოკვლევებით ნ/დ-ს შესახებ; დღეისათვის ცნობილია მისი როგორც ლოკალური განაწილება, ისე წარმოშობისა და ევოლუციის ზოგიერთი თეორიული საკითხი. მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს ამ დინების განმპირობებელი ფაქტორების ერთიანი, ჩამოყალიბებული თეორია. ეს საკითხი მეტეოროლოგიაში, ისევე როგორც, მაგალითად, ტროპიკული ციკლონების წარმოშობის თეორია, შემდგომ შესწავლას და დაზუსტებას მოითხოვს.


გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ნ/დ-ების არსებობა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არც თუ ისე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კ. ი. პაპინაშვილის (3) და ი. თ. კვარაცხელიას (2) ნაშრომები, რომლებშიაც მოცემულია ამ დინებათა ზოგიერთი თავისებურებები ამიერკავკასიაზე.

უკანასკნელი 10 წლის (1964—1973 წწ.) აეროლოგიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ კავკასიაზე ნ/დ-ს გავრცელების ყველა შესაძლებელი შემთხვევა შეიძლება დაეყოს ხუთ ძირითად ჯგუფად (ნახ. 1).

I ჯგუფში გაერთიანებულ ნ/დებს აქვს სამხრეთისაკენ ამოზნექილი რკალური ფორმა და მისი ღერძი მიმართულია შავი ზღვის ცენტრალური ან დასავლეთი რაიონებიდან ამიერკავკასიის ტერიტორიის გავლით კასპის ჩრდილო რაიონებისაკენ ისე, რომ ღერძის რკალური სიმრუდის მაქსიმუმი აღინიშნება ამიერკავკასიის ცენტრალურ რაიონებზე.


II ჯგუფის ნ/დები ანალოგიური რკალური ფორმით მდებარეობს ამიერკავკასიის სამხრეთით.

III ჯგუფის ნ/დებს აქვს I და II ჯგუფის ანალოგიური რკალური ფორმა, მხოლოდ მდებარეობს ამიერკავკასიის ჩრდილოეთით ისე, რომ ღერძის რკა-



ლური სიმრუდის მაქსიმუმი აღინიშნება ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში.

IV ჯგუფის ნ/დ-ები მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მათი ღერძები შეიძლება მდებარეობდეს ამიერკავკასიის დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებზე.



ნახ. 1

V ჯგუფის ნ/დ-ები მიმართულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მათი ღერძებიც შეიძლება მდებარეობდეს ამიერკავკასიის დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებზე.

ნ/დ-ის მდებარეობათა ასეთი ტიპური განაწილება აიხსნება უმთავრესად იმ ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების კომპლექსით, რომელსაც ქმნის თითქმის ერთმანეთთან შერწყმული ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტები. ამ ვრცელი მატერიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით განპირობებულია ატმოსფეროში თერმული და ბარიული ველების შედარებით კანონზომიერი განაწილება და მათი ხანმოკლე ცვლილებები, გამოსახული თერმობარიული ველის მერიდიანულ გარდაქმნაში.

ცხადია ნ/დ-ის ტიპური მდებარეობები მჭიდროდაა დაკავშირებული თერმობარიული ველის სწორედ ამ შედარებით ხანმოკლე მერიდიანულ გარდაქმნებთან.

აღნიშნული ათი წლის პერიოდის აეროლოგიურ დაკვირვებათა მასალებიდან ამოკრეფილი იყო ნ/დ-ბის კავკასიაზე გავრცელების 1500 კარგად გამოსახული შემთხვევა. თვეების მიხედვით მათი საშუალო გამეორებები შემდეგნაირადაა განაწილებული (ცხრილი 1).

ცხრილი 1

კავკასიაზე ნ/დ საშუალო გამეორებების (%%) განაწილება თვეების მიხედვით (1964—1973 წწ.)

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
8,2	12,4	14	11	12,2	15,2	18,2	17,5	16,7	17,5	15,6	13,3

საინტერესოა ნ/დ-ს სიმაღლეთა ცვლილებები კავკასიაზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს თვეების და წლების მიხედვით სიმაღლეთა აბსოლუტურ მაქსიმალურ და მინიმალურ მდებარეობათა საშუალო განაწილებები (ცხრილი 2 და 3).

ცხრილი 2

ნ/დ-ს სიმაღლეების აბსოლუტური მინ. და აბსოლუტური მაქს. განაწილება თვეების მიხედვით (1963—72 წწ. კმ-ში)

I		II		III		IV		V		VI	
მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.
7,8	14,4	7,0	13,6	7,8	14,2	7,2	13,2	7,5	14,4	7,5	15,2

VII		VIII		IX		X		XI		XII	
მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.
8,2	14,2	8,4	14,0	8,6	15,4	7,0	14,6	7,2	15,0	6,7	12,4


ცხრილი 3

ნ/დ სიმაღლეების აბს. მინ. და აბს. მაქს. განაწილება წლების მიხედვით (1968—1972 წწ. კმ-ში)

1968		1969		1970		1971		1972	
8,3	14,6	7,6	14	7,6	14	7,5	14	8,3	14,5

ამ ცხრილების მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კავკასიაზე ნ/დ-ის სიმაღლის აბსოლუტური მინიმუმი საშუალოდ 7,5 კმ-ს, ხოლო სიმაღლის აბსოლუტური მაქსიმუმი კი საშუალოდ 14 კმ-ის მახლობლობაში აღინიშნება.

რაც შეეხება სიჩქარეების აბსოლუტური მინიმუმების და მაქსიმუმების განაწილებას, აქ ვიღებთ შემდეგ სურათს (ცხრილი 4).



ცხრილი 4

5/დ სიჩქარეთა საშუალო აბსოლუტური მინიმუმების და მაქსიმუმების განაწილებები  
(1968—1972 წწ. მ/წმ-ში)

1968		1969		1970		1971		1972	
35	72	35	71	38	73	36	69	39	44

ამრიგად 5/დ-ბის სიჩქარეთა აბსოლუტური მინიმუმები იმყოფება 36 მ/წმ-ის მახლობლობაში, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმები კი 74 მ/წმ-ის მახლობლობაში.


აღსანიშნავია, რომ საერთოდ საშუალო მონაცემები მხოლოდ ზოგად წარმოდგენებს გვაძლევენ მეტეოროლოგიური ელემენტების ნორმალურ განაწილებაზე, ასევე ჩვენ მიერ განხილულ მასალაშიც, აქ გვაქვს აგრეთვე ცალკეული ანომალური შემთხვევები, რომლებიც პრაქტიკული თვალსაზრისით ზოგჯერ უფრო საგულისხმოა, ვიდრე საშუალო მონაცემები. ასე მაგალითად, 5/დ-ში აბსოლუტური მაქსიმალური სიჩქარე 1968—1972 წწ. აღნიშნული იყო 94 მ/წმ (229 კმ/სთ) 1971 წ. 10 ივნისს.

ასევე ითქმის აბსოლუტურ სიმაღლეებზეც, ცალკეულ შემთხვევებში გვაქვს აბსოლუტური მინიმალური სიმაღლის 6 კმ-ზე ქვევით დაწევა (1970 წ. 8/VII), ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმის აწევა 16 კმ-ზე ზევით (1969 წ. 10/XI).

საერთოდ 5/დ-ის სიმაღლე მჭიდროდაა დაკავშირებული ტროპოპაუზას მდებარეობასთან, რაც გამომდინარეობს თვით ატმოსფეროს ფიზიკური თვისებებიდან. ცნობილია, რომ ტროპოსფეროში ქარის საშუალო სიჩქარე იზრდება სიმაღლის მიხედვით და თავის მაქსიმუმს აღწევს ტროპოსფეროს ზედა ნაწილში, ტროპოპაუზას ქვეშ. ცხადია, რომ 5/დ-ბიც სწორედ ატმოსფეროს ამ ნაწილში მდებარეობენ. თბილისის აეროლოგიური სადგურის დაკვირვებათა მონაცემებით ტროპოპაუზას ქვედა საზღვრის სიმაღლე ისეთნაირადაა განაწილებული, რომ ყველაზე მეტი გამეორება 9—15 კმ-ს შორის თავსდება, რაც სრულიად შეესაბამება 5/დ-ბის სიმაღლეებს ამიერკავკასიაზე.

გარკვეული თანაფარდობაა აღნიშნული აგრეთვე კავკასიაზე 5/დ-ს მდებარეობის, ევოლუციისა და ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის ისეთ სტრუქტურულ ელემენტებს შორის, როგორცაა ციკლონები და ანტიციკლონები.

მიწისპირა სინობტიკური რუკების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 5/დ-ბის კავკასიაზე მდებარეობის 70% შემთხვევაში ადგილი აქვს ამიერკავკასიისაკენ ციკლონური არეების და მათთან დაკავშირებული ფრონტალური ზონების გადმონაცვლებას. ამასთან როგორც წესი კავკასიის ტერიტორიაზე ცალკე — კერძო ციკლონური ცენტრის ჩასახვა ხდება 5/დ-ს ღერძის ანტიციკლონურ, ხოლო მისი გადრმავება-გადმონაცვლება კი ღერძის ციკლონურ მხარეს.



ცნობილია, რომ ამიერკავკასიაზე ციკლონები, როგორც წესი, ინაცვლებენ ორი ჯგუფის ტრაექტორიების მიხედვით: I—სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და II— ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. I ჯგუფის ტრაექტორიებით ინაცვლებენ ხმელთაშუა და შავი ზღვის ციკლონები, რომლებსაც სინობტიკურ მეტეოროლოგიაში სამხრეთის ციკლონებს უწოდებენ, ხოლო II ჯგუფის ტრაექტორიით — ციკლონები სკანდინავიიდან და საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიიდან (მათ შორის მყვინთავი ციკლონებიც) (I).

ციკლონების ამიერკავკასიისაკენ გადმონაცვლების შემთხვევათა და ნ/დ-თა ტიპიურ განაწილებათა ერთდროული კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ციკლონების ამიერკავკასიისაკენ გადმონაცვლების ტრაექტორიის I ჯგუფის დროს ნ/დ-ებს აქვთ უმთავრესად II და V ჯგუფში გაერთიანებული ტიპიური ფორმები (ნახ. I), ხოლო II ჯგუფის ტრაექტორიის დროს კი უმთავრესად I, III და IV ჯგუფის ტიპიური ფორმები.

ცნობილია, რომ საერთოდ ციკლონები, როგორც დაბალი წნევის კორიანტალური არეები, თავისი საკუთარი ცირკულაციური პირობების გამო წარმოადგენს მოღრუბლულობის, ნალექების, ქარისა და მათთან დაკავშირებული ამინდის განსაკუთრებული მოვლენების (ელჭექი, სეტყვა, უხვი ნალექი და სხვა) წარმოშობა და მატარებელ არეებს. წინასწარმა ზოგადმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნ/დ-ებიც ხშირად ასრულებენ ძირითად როლს ამინდის განსაკუთრებული მოვლენების წარმოქმნაში. ეს საკითხი აუცილებელ შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. М. А. Захашвили. Методические указания к прогнозу выхода «ожных» циклонов на территорию Закавказья. М., 1967.
2. И. Ф. Кварацхелия. Аэрологические наблюдения над Закавказьем. Гидрометеониздат, Л., 1969.
3. К. И. Папинашвили. Труды ЗакНИГМИ, вып. 4, 1959, стр. 3.

М. А. ЗАХАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ТИПИЧНЫЕ РАСПРЕДЕЛЕНИЯ СТРУЙНЫХ ТЕЧЕНИЙ  
НАД РЕГИОНОМ КАВКАЗА

Резюме

В статье рассмотрены типичные формы расположений струйных течений над Кавказом, их связь с перемещениями приземных барических образований и некоторые характеристики их параметров.





M. ZAKHASHVILI

## SOME TYPICAL DISTRIBUTIONS OF JET-STREAMS OVER THE CAUCASUS REGION

### Summary

Typical forms of jet-stream disposition over the Caucasus are considered along with the connection between them and the movements of near the-ground baric formations.

Some characteristics of their parameters are also considered.

## К ВОПРОСУ О КЛИМАТИЧЕСКИХ ДАННЫХ ОСОБО ОПАСНЫХ СИЛЬНЫХ ВЕТРОВ НАД ТЕРРИТОРИЕЙ ГРУЗИИ

А. А. ДЕМЕТРАШВИЛИ

Для исследования распределения дней с особо опасной силой ветра были использованы приземные карты погоды, карты барической топографии и карты максимальных ветров, информации об особо опасных ветрах и наблюдения сети аэрометеорологических станций УГМС Грузинской ССР. Отобраны случаи ветров со скоростью  $V \geq 30$  м/сек (без порывов) за период 1969—1973 гг. Количество таких случаев за указанный промежуток времени достигает 20 (табл. 1). При этом, число станций (пункто-случаев с ветром  $V \geq 30$  м/сек) в каждом случае колебалось: в Западной Грузии—в пределах 5—12, а по Восточной Грузии 2—5. Наиболее часто (75%) сильные ветры наблюдаются в районах Колхидской низменности, а по Восточной Грузии — в районе АМСГ Тбилиси.

Частота повторения сильных ветров обусловлена региональными физико-географическими условиями района. За рассмотренный нами период во многих горных районах ветров штормовой и ураганной силы не отмечалось (рис. 1). Наиболее часто они регистрировались в Кутаиси, Тбилиси, АМСГ, Поти, Зугдиди, Гегечкори, Цхакая, Цулукидзе, Самтредия, Ткибули, Родионовке, Болниси.

Наиболее часто (61%) в Западной Грузии отмечались ветры со скоростью от 35—39 до 40—45 м/сек, с порывами до 47—48 м/сек, а по Восточной Грузии наиболее часто (86%) наблюдались ветры со скоростью 30—34 м/сек и 40—45 м/сек, с порывами до 50 м/сек. Наиболее значительные скорости отмечались при порывах. Так, если максимальная скорость (без порывов) составляла 40 м/сек, то во время порывов она превышала 45 м/сек. (табл. 1).

По преобладающим направлениям отмечались сильные ветры восточной половины горизонта. Из всех случаев в Западной Грузии только один раз отмечался сильный ветер Западной половины и то его скорость не превышала в большинстве районов 30—32 м/сек, а по Восточной Грузии из 7 случаев все сильные ветры были Западной половины.

Известно, что вредное действие сильных ветров в значительной степени зависит от продолжительности их, следовательно, необходимо выяснить вопрос об их продолжительности, хотя бы в первом приближении.

В таблице 1 приводятся данные о продолжительности ветров ураганной силы.

Анализ вышеуказанных данных показывает, что максимум продолжительности ураганных ветров (108 часов) отмечается в Западной Грузии — Кутаиси, Гегечкори, Цхакая, Ткибули, Мта-Сабуети.

Таблица 1


Ветер штормовой и ураганной силы, данные у поверхности земли  
Западной Грузии

Всего случаев	Продолжительность явления (в часах)				Максимальный ветер				Скорость при порывах					
	12-24	25-48	49-72	73-96	97-108	ср.	зап.	вост.	направление	макс. скорость	35-39	40-44	45-48	ср.
13	4	3	1	2	43	1	12	30-34	5	4	5	5	3	39

Таблица 2

## Для Восточной Грузии

Всего	Продолжительность явления				Максимальный ветер				Скорость при порывах				
	12-24	25-48	49-72	73-96	ср.	зап.	вост.	направление	макс. скорость	35-39	40-44	45-48	ср.
7	5	1	1	—	—	7	—	3	3	1	4	2	1



Сравнительно малая продолжительность ветров ураганной силы наблюдается в Восточной Грузии. Ветры со скоростью более 30 м/сек являются непродолжительными и время их существования не превышает 12—24 часов. За наблюдаемый период только один раз отмечался случай продолжительностью штормового ветра в 51 час (АМСГ Тбилиси).

В среднем продолжительность ветров ураганной силы составляет по Западной Грузии 43 часа (66, 29), по Восточной Грузии — 18 (12, 8).

Таблица 3

## Внутригодовое распределение особо опасных сильных ветров

месяц		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	XI	X	XI	XII	ВСЕГО
число	Зап. Гр	5	4	1	2	—	—	—	—	—	—	—	—	13
случ.	Вост. Гр	2	1	1	2	—	—	—	—	—	—	—	—	7

По данным наблюдений, приведенных в табл. 1, ветры штормовой и ураганной силы значительно чаще встречаются (60%) зимой, а в весенние и осенние месяцы их повторяемость не превышает 40%. Они возникают в основном из-за вторжения холодных масс воздуха как с Запада, так и с Востока.

По анализу приземных карт и карт барической топографии штормовые и ураганые северо-западные (по Восточной Грузии) и западные (по Западной Грузии) ветры обусловлены процессами вторжения холодных масс воздуха с севера, при наличии циклонов над северными районами ЕГС, а также распространением холода в тыле ложбин в районах Закавказья и далеко на Юге в районах Турции, Ирана и Ирака.

Штормовые и ураганные ветры восточной половины горизонта обусловлены развитием гребня полярного или Сибирского антициклона, со стороны Каспия, или же циклоном над Черным морем. При этом холодный воздух распространяется глубоко на юг, в пределах Ирана, Ирака и Турции.

Максимальный градиент давления над Закавказьем при подобных ветрах колеблется в пределах 17—25 мб, причем барические системы характеризуются меридиональной направленностью. Температурный градиент над Закавказьем, по карте относительной топографии, 500/1000 мб равен от 8 до 18 градусов.

Исходя из вышесказанного можно заключить:

1. Территория Грузии характеризуется большой частотой возникновения ветров штормовой и ураганной силы.
2. Наиболее чаще исследуемые ветры наблюдаются в районах Колхидской низменности, а по Восточной Грузии — в Тбилиси АМСГ, Гардабани, Болниси, Родионовке.
3. По направлению особо опасными ветрами в основном являются ветры восточной половины. В Западной Грузии чаще (97%) отмечаются ветры восточной половины, а по Восточной Грузии — западные и северо-западные (100%).
4. Опасные ураганые ветры чаще всего наблюдаются зимой и реже — в весенне-осенние месяцы.



5. Ветры ураганной силы в основном обусловлены вторжением холодных масс воздуха, как с Запада, так и с Востока.

Кафедра метеорологии,  
климатологии и океанологии

ა. დემეტრაშვილი

საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით სახიფათო  
ქლიერი ქარების კლიმატური დახასიათებისათვის

რეზიუმე

შესწავლილია კლიმატური დახასიათება განსაკუთრებით სახიფათო შტორ-  
მული და გრივალისებური ძალის (30—35 მ/წმ) ქარებისა საქართველოს ტე-  
რიტორიაზე. დადგენილია საშუალო არითმეტიკული, მინიმალური და მაქსიმა-  
ლური მნიშვნელობები, საშუალო და აბსოლუტური ამპლიტუდები, განმეორე-  
ბათა სიხშირე, ხანგრძლივობა და გენეზისი.

A. DEMETRASHVILI

ON THE CLIMATIC CHARACTERISTICS OF EXTREMELY DANGEROUS WINDS  
OVER THE TERRITORY OF GEORGIA

Summary

The paper deals with the problem of estimating the climatic cha-  
racteristics of especially dangerous strong winds, i. e. the frequency,  
arithmetic means, minimum and maximum values, average and absolute  
amplitudes, recurrence rate and duration.

## ИЗУЧЕНИЕ ЗАКОНОМЕРНОСТЕЙ ГОДОВОГО ХОДА СОЛНЕЧНОГО СИЯНИЯ ПРИЕМОМ ИЗОПЛЕТ

(на примере высокогорной станции Казбеги)

М. Г. БОКЕРИА

Наиболее полное представление о закономерностях годового хода солнечного сияния позволяют получить графики изоплет, которые определяют вероятность (в %) продолжительности солнечного сияния в течение одного часа.

Чтобы построить изоплеты, следует определить сезонную закономерность суточного хода солнечного сияния (рис. 1). Из рисунка видно, что солнечное сияние в высокогорном Кавказии в зимний период достигает максимума в полуденные часы. Весной, в связи с удлинением дня, восход солнца происходит в 5 часов и уже в 10—11 часов (в апреле и мае) достигает максимума. Летом наблюдается существенное изменение солнечного сияния, ибо после полудня атмосфера замутняется, соответственно и уменьшается приход солнечных лучей во второй половине дня, в то время, как в зимние месяцы послеполуденные величины превосходят дополуденные (рис. 1) (44).

В переходные сезоны (весной и осенью) максимум солнечного сияния наблюдается в утренние часы. Однако наличие облачности в любой из сезонов нарушает общие закономерности солнечного сияния.

При использовании приема изоплет на плоском графике одновременно возможно изобразить три величины, находящиеся между собой в функциональной зависимости. В данном случае использована декартова система координат. По оси ординат откладываются месяцы года, а по оси абсцисс — часы суток. В точках пересечения соответствующих координат надписываются численные значения третьего параметра, затем одинаковые его значения соединяются изолиниями, называемыми изоплетами.

Третий параметр — это вероятность солнечного сияния в течение часа, выраженная в минутах, охватывающая период до и после 30 минут в любое время суток. Путем обработки десятилетних ежечасных данных продолжительности солнечного сияния высокогорной метеостанции Казбеги (3653 м) были вычислены средние значения и нанесены на график (рис. 2).

Изоплеты, вытянутые в вертикальном направлении, свидетельствуют о почти равномерном распределении продолжительности солнечного сияния от времени суток и времени года. Так, на высокогорной станции Казбеги максимум вероятностей ясного неба бывает в утренние часы.

От 8.30 до 9.30 часов продолжительность солнечного сияния равна 35 минутам, остальные 25 минут небосвод покрыт облаками, т. е. ве-





Рис 1

Рис. 1. Суточный ход солнечного сияния (в минутах), мет. ст. Казбег в/г (Н=3653).



г. н. 2. 1 одовой ход продолжительности солнечного сияния в разные часы суток, Казбеги, в/г.






роятность 35-минутного солнечного сияния в этом интервале времени составляет 58,3%. Итак, для каждого часового интервала была высчитана вероятность солнечного сияния.

В заключение можно отметить, что подобным приемом полученное графическое изображение солнечного сияния в виде карты изолиний раскрывает картину зависимости солнечного сияния и облачности от времени суток и времени года.

Суточный ход солнечного сияния (мин.) в течение года.  
Казбеги, в/г (3633 м.)

Месяцы	М и н у т ы								
	5	10	15	20	25	30	35	40	45
I	7 <sup>25</sup>	7 <sup>30</sup>	7 <sup>35</sup>	7 <sup>50</sup>	8 <sup>10</sup>	8 <sup>30</sup>	9 <sup>30</sup>		
	15 <sup>30</sup>	15 <sup>15</sup>	15 <sup>00</sup>	14 <sup>35</sup>	14 <sup>10</sup>	13 <sup>30</sup>	11 <sup>00</sup>		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
II	7 <sup>25</sup>	7 <sup>30</sup>	7 <sup>35</sup>	7 <sup>40</sup>	8 <sup>10</sup>	8 <sup>25</sup>	8 <sup>40</sup>	9 <sup>30</sup>	
	16 <sup>0</sup>	15 <sup>35</sup>	15 <sup>00</sup>	13 <sup>00</sup>	12 <sup>25</sup>	11 <sup>00</sup>			
III	6 <sup>25</sup>	6 <sup>35</sup>	7 <sup>00</sup>	7 <sup>30</sup>	7 <sup>40</sup>	8 <sup>00</sup>	9 <sup>00</sup>		
	17 <sup>20</sup>	16 <sup>35</sup>	16 <sup>15</sup>	15 <sup>40</sup>	14 <sup>20</sup>	12 <sup>30</sup>	11 <sup>00</sup>		
IV	5 <sup>40</sup>	6 <sup>00</sup>	6 <sup>20</sup>	7 <sup>00</sup>	7 <sup>30</sup>	8 <sup>35</sup>			
	18 <sup>15</sup>	17 <sup>35</sup>	17 <sup>00</sup>	16 <sup>10</sup>	14 <sup>20</sup>	12 <sup>30</sup>	11 <sup>00</sup>		
V	5 <sup>00</sup>	5 <sup>25</sup>	5 <sup>35</sup>	6 <sup>00</sup>	6 <sup>15</sup>	6 <sup>30</sup>	7 <sup>30</sup>		
	18 <sup>00</sup>	17 <sup>30</sup>	17 <sup>00</sup>	16 <sup>10</sup>	11 <sup>20</sup>	9 <sup>25</sup>	8 <sup>30</sup>		
VI	4 <sup>30</sup>	5 <sup>00</sup>	5 <sup>10</sup>	5 <sup>35</sup>	6 <sup>10</sup>	6 <sup>20</sup>	6 <sup>50</sup>	6 <sup>45</sup>	
	18 <sup>35</sup>	18 <sup>00</sup>	17 <sup>00</sup>	15 <sup>10</sup>	14 <sup>40</sup>	13 <sup>55</sup>	9 <sup>40</sup>	7 <sup>55</sup>	
VII	3 <sup>48</sup>	4 <sup>12</sup>	4 <sup>10</sup>	4 <sup>25</sup>	4 <sup>45</sup>	5 <sup>15</sup>	5 <sup>30</sup>	6 <sup>00</sup>	
	17 <sup>25</sup>	17 <sup>12</sup>	16 <sup>30</sup>	16 <sup>00</sup>	13 <sup>10</sup>	12 <sup>10</sup>	7 <sup>30</sup>	6 <sup>30</sup>	
VIII	4 <sup>20</sup>	4 <sup>30</sup>	4 <sup>35</sup>	5 <sup>00</sup>	5 <sup>15</sup>	5 <sup>35</sup>	6 <sup>00</sup>	6 <sup>10</sup>	
	19 <sup>30</sup>	18 <sup>40</sup>	17 <sup>35</sup>	16 <sup>00</sup>	13 <sup>00</sup>	11 <sup>30</sup>	9 <sup>40</sup>	7 <sup>30</sup>	
IX	6 <sup>20</sup>	5 <sup>30</sup>	6 <sup>35</sup>	6 <sup>40</sup>	6 <sup>45</sup>	7 <sup>10</sup>	7 <sup>30</sup>		
	17 <sup>30</sup>	17 <sup>00</sup>	16 <sup>15</sup>	14 <sup>30</sup>	12 <sup>10</sup>	11 <sup>00</sup>	8 <sup>30</sup>		



1	2	3	4	5	6	7	8	9	10
X	6 <sup>30</sup>	6 <sup>40</sup>	6 <sup>45</sup>	6 <sup>55</sup>	7 <sup>00</sup>	7 <sup>10</sup>	7 <sup>30</sup>	7 <sup>55</sup>	8 <sup>10</sup>
	16 <sup>25</sup>	16 <sup>00</sup>	15 <sup>40</sup>	15 <sup>30</sup>	15 <sup>10</sup>	14 <sup>40</sup>	13 <sup>10</sup>	11 <sup>00</sup>	8 <sup>30</sup>
XI	6 <sup>40</sup>	7 <sup>10</sup>	7 <sup>30</sup>	7 <sup>40</sup>	8 <sup>05</sup>	8 <sup>30</sup>	9 <sup>30</sup>		
	16 <sup>30</sup>	15 <sup>15</sup>	15 <sup>00</sup>	14 <sup>30</sup>	13 <sup>30</sup>	12 <sup>10</sup>	10 <sup>30</sup>		
XII	7 <sup>20</sup>	7 <sup>30</sup>	7 <sup>45</sup>	7 <sup>55</sup>	8 <sup>10</sup>	8 <sup>25</sup>	8 <sup>45</sup>	9 <sup>25</sup>	
	16 <sup>10</sup>	15 <sup>35</sup>	15 <sup>00</sup>	14 <sup>40</sup>	13 <sup>10</sup>	14 <sup>55</sup>	13 <sup>20</sup>	12 <sup>30</sup>	11 <sup>00</sup>

Кафедра метеорологии,  
климатологии и океанологии

ЛИТЕРАТУРА

1. В. Беёр. Техническая метеорология. Гидрометеорологическое издательство, Ленинград, 1966, стр. 80.
2. М. Г. Бокериа. Климатическая характеристика высокогорного Кавказиონი к запросам строительства и проектирования. Автореферат диссертационной работы, Тбилиси, ТГУ, 1970.
3. Г. К. Сулаквелидзе. Сообщения АН ГССР, т. XIV, № 4, 1953, стр. 217.

მ. ბოკერია

მზის ნათების მსვლელობის კანონზომიერების  
დადგენა იზოპლეტების ხერხით

(ყაზბეგის მაღალმთიანი სადგურის მაგალითზე)

რეზიუმე

მზის ნათების წლიური მსვლელობის კანონზომიერების თვალნათლივ გამოსახულებას იზოპლეტების გრაფიკი იძლევა. ამ ხერხით გამოისახება მზის ნათების დამოკიდებულება დღე-ღამესა და წლის სხვადასხვა დროს შორის. გარდა ამისა, კვლევის ეს ხერხი კარვად პასუხობს ამინდისა და კლიმატის კომპლექსურ დახასიათებას.

მაგალითისათვის ავებულია ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურისათვის (3653 მ ზღვის დონიდან) იზოპლეტების გრაფიკი, რომელმაც გვიჩვენა იზოპლეტების ვერტიკალური განლაგება, რაც იმას ნიშნავს, რომ კავკასიონის მაღალმთიან ზონაში მთელი წლის განმავლობაში მზის ნათების ხანგრძლივობა თანაბარია.



M. BOKERIA

**A STUDY OF REGULARITIES IN THE ANNUAL SOURCE OF SOLAR RADIANCE BY  
THE ISOPLETH METHOD (BASED ON DATA FROM THE ALPINE  
STATION "KAZBEGI")**

**Summary**

Isopleth diagrams produce a clear picture of the regularities in the annual course of solar radiance.

The dependence of solar radiance duration on season and daily time is expressed by this method.

Furthermore, it successfully meets the complex characterization of weather and climate.

The present diagram for the Alpine station "Kazbegi" (3653m) showing the vertical direction of isopleths indicates that the distribution of annual solar radiance duration is almost even.



ახმესანდრე ილარიონის ძე ჯანელიძე  
(1888 — 1975)

## ალექსანდრე ჯანელიძე

ქართულმა მეცნიერებამ, ქართულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. 1975 წლის 16 იანვარს გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძე.


დიდა ალექსანდრე ჯანელიძის დამსახურება საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი და გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის შემქმნელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ორგანიზატორი, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების დაარსების ინიციატორი, გეოლოგიის დარგის მრავალი სპეციალისტის აღმზრდელი, არაერთი გამოჩენილი მეცნიერის მასწავლებელი, 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, ისტორიული გეოლოგიისა და ზოგადი გეოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელოების შემქმნელი, სახალხო მეურნეობის მრავალი მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხის გადაჭრის აქტიური მონაწილე — ასეთია ალ. ჯანელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ძირითადი მომენტები.

ალექსანდრე ჯანელიძე დაიბადა 1888 წლის ოქტომბრის 23-ს (ძველი სტილით) სოფ. ნიკორწმინდაში. დაწყებითი განათლება მან ქუთაისში, იოსებ ოცხელის სკოლაში მიიღო, ხოლო 1897 წელს შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1906 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, იგი სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1907 წელს ის ჩაირიცხა პარიზის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელიც 1910 წელს დაამთავრა.

1911 წელს ალ. ჯანელიძე საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ფიზიკის მასწავლებლად. ამავე დროს ის აქტიურად მონაწილეობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში, კითხულობს ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში, მუშაობს მუშათა წრეებში.

1915 წელს ალ. ჯანელიძე ყაზანს გაემგზავრა იქაურ უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების ექსტერნის წესით ჩასაბარებლად (უცხოეთში მიღებულ დიპლომს რუსეთში ძალა არ ჰქონდა). გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ის იმავე უნივერსიტეტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრაზე დასტოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1917 წელს საქართველოში შვებულებით ჩამოსული ყაზანში დაბრუნებას ვეღარ ახერხებს და მასწავლებლობას იწყებს თბილისის ქარ-



თულ გიმნაზიაში. ამავე დროს ის დიდ დახმარებას უწევს ივანე ჯავახიშვილის საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ალ. ჯანელიძე ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის დამხმარე საზოგადოების აქტიური წევრი იყო. მისი ხელით არის დაწერილი ამ საზოგადოების ერთ-ერთი სხდომის ოქმი 1917 წლის 17 მაისს. ქუთაისში ყოფნის დროს ალ. ჯანელიძე ივანე ჯავახიშვილის დავალებით არჩევს მასწავლებელთა კადრებს მომავალი უნივერსიტეტისათვის. 1918 წელს ის მიიწვიეს ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. 1920 წელს უნივერსიტეტის დავალებით ალ. ჯანელიძე მეცნიერული მიგვინებით გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც ის ჯერ გრენობლში მუშაობს ცნობილი მეცნიერის ვ. კილიანის ლაბორატორიაში, ხოლო უფრო გვიან (1921—22 წწ.) — პარიზში, სახელგანთქმულ მეცნიერ ე. ოგთან. 1922 წელს ალ. ჯანელიძე გერმანიაში მიდის და მეცნიერულ მუშაობას ი. ვალტერის გეოლოგიურ ინსტიტუტში განაგრძობს. 1923 წელს ის საქართველოში დაბრუნდა. ამავე წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1924 წლიდან არჩეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ. ხსენებული კათედრა მისი დაუღალავი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა და ქართული გეოლოგიური მეცნიერების განვითარების ბაზად იქცა. ალ. ჯანელიძე 1970 წლამდე ამ კათედრის უცვლელი ხელმძღვანელი იყო.

1926 — 29 წლებში იგი შეთავსებით საქართველოს მუზეუმის დირექტორია.

1925 წელს ალ. ჯანელიძე თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ბაზაზე შექმნილ გეოლოგიურ ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში. ის ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო 1955 წლამდე. მისი დიდი გამოცდილებისა და დაუღალავი, თავდადებული მუშაობის შედეგია, რომ თავდაპირველად პატარა ინსტიტუტი სულ მოკლე ხანში მძლავრ სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა.

მრავალმხრივია ალ. ჯანელიძის მეცნიერული მოღვაწეობა. მას დიდი და საინტერესო გამოკვლევები აქვს ჩატარებული პალეონტოლოგიის დარგში. დიდი დამსახურება მიუძღვის მას საქართველოს სტრატეგრაფიის მრავალი საკითხის გარკვევაში. არანაკლებ საინტერესოა მისი გამოკვლევები მდ. მტკვრის ხეობის განვითარებისა და მეწყრული მოვლენების საკითხებზე. ალ. ჯანელიძის მეცნიერულ მოღვაწეობაში მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია თეორიული გეოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი და ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დარგის — ტექტოგენეზისის საკითხების ორიგინალური გადაჭრა. ასეთია მის მიერ დამუშავებული დანაოჭების დათარიღების ახალი, ორიგინალური მეთოდი, კიდური ნაოჭების კონცეფცია, საქართველოს ბელტის პრობლემა, კონტინენტების წარმოშობის საკითხი და სხვა მრავალი. ეს თეორიული გამოკვლევები უდევს საფუძვლად ალ. ჯანელიძის მიერ შექმნილი ქართული გეოლოგიური სკოლის მეცნიერული კვლევის ძირითად მიმართულებას.

ალ. ჯანელიძის მოღვაწეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა კადრების აღზრდა. ის ამ საქმეს ყოველთვის განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა. უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის დაარსების დღიდან ის სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობს პალეონტოლოგი-

აში, დინამიურ გეოლოგიაში, ისტორიულ გეოლოგიაში, საბჭოთა კავშირის გეოლოგიაში, გეოლოგიის ისტორიაში. ლექციებს კითხულობს არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიაც. ალ. ჯანელიძემ მრავალრიცხოვან მეცნიერულ ნაშრომებს გარდა შექმნა აგრეთვე პირველი ქართული სახელმძღვანელო ისტორიულ გეოლოგიაში და ზოგად გეოლოგიაში. მისი „ნარკვევები გეოლოგიის ისტორიიდან“ არა მარტო სახელმძღვანელო, არამედ გეოლოგიური მეცნიერების მაგალითზე დაწერილი მეცნიერების ისტორიაა საერთოდ. ის უდიდესი სიფრთხილითა და დაკვირვებით არჩევდა სტუდენტთა შორის ნიჭიერ ახალგაზრდებს, მომავალ მკვლევარებს. მრავალი მისი მოწაფე დღეს გეოლოგიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ალ. ჯანელიძე ენერგიულად მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში (ჰიდროელსადგურების მშენებლობა, მინერალური წყლების ჰიდროლოგია, ნავთობის ძიების საქმე, თბილისის წყალმომარაგების საქმე და სხვა).

ალ. ჯანელიძე იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების დაარსების ინიციატორი და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი-დამაარსებელი, რუსეთის პალეონტოლოგიური და საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების წევრი.

ალ. ჯანელიძის დიდი დამსახურება მეცნიერებაში აღინიშნა მისი არჩევით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში, სადაც ენერგიულ მუშაობას ეწეოდა როგორც მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (1963 წ.), ვიცე-პრეზიდენტი (1951—55 წწ.), აკადემიის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი.

ომის წლებში ალ. ჯანელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ალექსანდრე ჯანელიძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრი.

საბჭოთა ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ალექსანდრე ჯანელიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ალექსანდრე ჯანელიძემ ენერგიის დაუზოგავად, უანგაროდ მოახმარა ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებას. მისი კოლეგების, მრავალრიცხოვანი მოწაფეების მომავალ მოღვაწეობაში კიდევ დიდხანს იცოცხლებს საქმე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სახელოვანმა მეცნიერმა ალექსანდრე ჯანელიძემ.

## АЛЕКСАНДР ИЛЛАРИОНОВИЧ ДЖАНЕЛИДЗЕ

Грузинская наука, грузинская общественность понесли тяжелую утрату. Скончался выдающийся ученый и общественный деятель, действительный член АН Грузинской ССР, заслуженный деятель науки, профессор Александр Илларионович Джанелидзе.

Велика заслуга Ал. Джанелидзе в деле развития советской науки. Основоположник грузинской геологической школы, один из первых профессоров Тбилисского университета и основатель кафедры геологии и палеонтологии, организатор кафедры геологии и палеонтологии Грузинского политехнического института, инициатор основания Грузинского геологического общества, воспитатель многочисленной армии специалистов-геологов, учитель многих выдающихся ученых, автор более 150 научных трудов, создатель первых учебников исторической и общей геологии на грузинском языке, активный участник решения целого ряда актуальных практических вопросов народного хозяйства — таковы только основные моменты многогранной деятельности Александра Илларионовича Джанелидзе.

А. И. Джанелидзе родился 23 октября (по старому стилю) 1888 года в сел. Никорцминда. Начальное образование получил в Кутаиси, в школе Иосифа Оцхели, и в 1897 г. поступил в Кутаисскую гимназию. После окончания гимназии в 1906 году Ал. Джанелидзе едет за границу. В 1907 году он поступил в Парижский университет, а через три года, в 1910 году, закончил его по специальности естествознания.

В 1911 году А. И. Джанелидзе возвращается в Грузию. Здесь он работает в Кутаисской грузинской гимназии преподавателем физики. Одновременно он активно участвует в работе Общества по распространению грамотности среди грузин, читает лекции в народном университете, работает в рабочих кружках.

В 1915 году Ал. Джанелидзе едет в Казань, чтобы сдать экстерном экзамены для получения диплома (в то время иностранный диплом в России не имел силы). После успешной сдачи экзаменов он был оставлен в Казанском университете на кафедре геологии и палеонтологии для подготовки к профессорской деятельности.

В 1918 году его приглашают в Тбилисский университет, а в 1920 году по поручению университета он едет в научную командировку во Францию, где работает сначала в Гренобле под руководством известного ученого В. Килиана, а позже (1921—22 гг.) — в Париже у знаменитого профессора Э. Ога. В 1922 году Ал. Джанелидзе едет в Германию и ведет научную работу в геологическом институте, которым руководил И. Вальтер. В 1923 году он возвращается в Грузию. В том же году он успешно защищает докторскую диссертацию.

В 1924 году Ал. Джанелидзе был избран заведующим кафедрой геологии и палеонтологии. Упомянутая кафедра была основана благодаря его неутомимой деятельности и явилась базой развития гру-





зинской геологической науки. В 1926—29 гг. Ал. Джанелидзе являлся директором Музея Грузии.

В 1925 году Ал. Джанелидзе возглавил Геологический институт, основанный на базе кафедры геологии и палеонтологии Тбилисского университета. Он являлся директором этого института до 1955 года. Его большой опыт и неутомимый труд способствовали превращению небольшого института в солидное научное учреждение.

Многогранна научная деятельность Ал. Джанелидзе. Им проведены большие и интересные исследования в области изучения стратиграфии Грузии. Не менее интересны его труды, посвященные вопросам развития долины р. Куры и вопросам оползневых явлений. Но наиболее важными и интересными следует признать его исследования по вопросам тектогенеза — одной из наиболее сложных и интересных проблем теоретической геологии. Он является автором оригинального решения многих вопросов тектогенеза: новый оригинальный метод датировки складчатости, концепция краевых складок, разработанная им проблема Грузинской глыбы, вопрос происхождения континентов и многие другие легли в основу научных исследований ученых грузинской геологической школы.

Другой важной стороной деятельности Ал. Джанелидзе являлось воспитание кадров. В разное время он читал лекции по палеонтологии, общей геологии, исторической геологии, геологии СССР и истории геологической науки не только в университете, но и в Политехническом институте.

Его перу принадлежат не только многочисленные научные труды, но и первые оригинальные учебники по исторической геологии, общей геологии и истории геологии. Его книга «Очерки из истории геологии» является не только учебником, но и написанной на примере геологии историей науки вообще.

Ал. Джанелидзе принимал самое активное участие в решении практических вопросов народного хозяйства (строительство гидроэлектростанций, гидрогеология минеральных вод, поиски нефти, водоснабжение Тбилиси и др.).

Ал. Джанелидзе был председателем президиума Грузинского геологического общества, одним из основателей и членом Грузинского географического об-ва, членом Всесоюзного палеонтологического общества и Французского геологического общества. Вместе с И. Джавахишвили он активно участвовал в деле основания Тбилисского университета.

Большие заслуги Ал. Джанелидзе были отмечены его избранием в первый состав АН Грузинской ССР, где он вел энергичную работу как вице-президент (1951—1955 гг.), председатель отделения математических и естественных наук (1963), член президиума АН ГССР.

В военные годы А. Джанелидзе был ректором Тбилисского университета, активно участвовал в государственной жизни страны, пять раз был избран депутатом Верховного Совета ГССР и членом его президиума, являлся членом редакционной коллегии Конституции ГССР.

За большие заслуги перед Родиной А. Джанелидзе награжден тремя орденами Ленина, двумя орденами Трудового Красного Знамени и медалями.

Имя А. И. Джанелидзе навсегда вписано в историю грузинской советской науки и культуры.

**ზინაბარი**

**გეოფიზიკა**

გ. მანგაძე, გ. დათუაშვილი, ნ. ხუნდაძე — ნარჩენი ანომალიის ინტერპრეტაციის ანალიზური ხერხის შესახებ . . . . . 10

**გეოლოგია**

გ. შენგელია — დედამიწის ქერქის სამგანზომილებიანი მოდელი და გრავიტაციული ველის გაყოფა რეგიონალურ და ლოკალურ მდგენელებად . . . . . 21  
 შ. ჯავახიშვილი — მდინარე გვანდრის ხეობის ულტრაფუძე ინტრუზია . . . . . 23  
 ბ. თუთბერიძე — ზოგი ახალი მონაცემი მწვერვალ ქულბაქის აგებულების შესახებ . . . . . 29  
 ვ. აღფაძე, ფ. შენგელია — სამეგრელოს ზედა სარმატის შესახებ . . . . . 38  
 გ. დონდაძე — გვარ Echinocorys-ის ახალი სახე ძირულის მასივის სამხრეთ პერიფერიის ზედა მასტრიხტიდან . . . . . 41

**გეოგრაფია**

ნ. ნაჭყებია — თურქეთისა და ირანის სოფელთა ფუნქციური ტიპოლოგია . . . . . 49  
 ვ. გუჯაბიძე — მიგრაციის ინტენსიურობა და ეფექტურობა საქართველოს ქალაქებში . . . . . 58  
 რ. განიჩილაძე — შერჩევითი მეთოდი მიწის გამოყენების სახეობათა ფართობების გაზომვის დროს (ინგლისის მაგალითზე) . . . . . 64  
 ე. წერეთელი — სელური მოვლენების განვითარების კანონზომიერებანი საქართველოს ტერიტორიაზე და მათი სინეინრო-გეოლოგიური დარაიონება . . . . . 70  
 მ. ხარატიშვილი — მდინარე რიონის ტერასები და ძველი ნახეობარები ქ. ონის მიდამოებში . . . . . 73  
 გ. ლიბარტელიანი — თემატიკური კარტოგრაფიის არსი . . . . . 83  
 დ. ასათიანი, ჯ. მესხია, ე. გოზალოვი — ტეტანუსის ჩხირის გავრცელების გეოგრაფიული კანონზომიერებანი (საქართველოს მაგალითზე) . . . . . 85  
 თ. კიკილაშვილი — მასალები საქართველოს სამხრეთ მთიანეთის დაყოფისათვის მდინარეთა ქსელის სიხშირის კოეფიციენტის მიხედვით . . . . . 91  
 ს. მელნარგია — ნებისმიერი პროფილის ამომშრობი არხების ფილტრაციული ანგარიში თანმიმდევრული კონფორმული გადასახვის მეთოდით . . . . . 103  
 გ. სულაქველიძე, ზ. ხვედელიძე, ჯ. მდინარაძე, ზ. მილნიკოვა — სეტყვის საწინააღმდეგო მუშაობის ეკონომიური ეფექტურობის შეფასება . . . . . 113  
 მ. ზახაშვილი — ნაკადური დინებების ზოგიერთი ტიპური განაწილება კავკასიის რეგიონზე . . . . . 115  
 ა. დემეტრაშვილი — საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით სახიფათო ძლიერი ქარების კლიმატური დახასიათებისათვის . . . . . 124  
 მ. ბოკერია — მზის ნათების მსვლელობის კანონზომიერების დადგენა იზობლებების ხერხით (ყაზბეგის მაღალმთიანი სადგურის მაგალითზე) . . . . . 129

ალექსანდრე ჯანელიძე ნეკროლოგი . . . . . 131



## СОДЕРЖАНИЕ

### Геофизика



Г. Д. Манагадзе, Г. С. Датушвили, Н. Ш. Хундадзе — Об аналитическом способе интерпретации остаточной аномалии силы тяжести	5
--	---

### Геология

Г. Ш. Шенгелая — Трехмерная модель земной коры и разделение гравитационного поля на региональную и локальную составляющие	11
Ш. И. Джавахишвили — Ультрасосновная интрузия ущелья р. Гвандры	28
Б. Д. Тутберидзе — Некоторые новые данные о строении вершины Кулбаки	32
В. С. Алпандзе, Ф. К. Шенгелия — О верхнем сармате Мегрелии	35
Г. С. Гонгадзе — Новый вид рода <i>Echinogogys</i> из верхнего маастрихта южной периферии Дзирульского массива	39

### География

Н. В. Начкебия — Функциональная типология сельских поселений Турции и Ирана	43
В. В. Гуджабидзе — Интенсивность и эффективность миграции в городских поселениях Грузии	51
Р. Г. Гачечиладзе — Применение выборочного метода при измерении площадей видов использования земель (на примере Англии)	59
Э. Д. Церетели — Закономерности развития селевых явлений на территории Грузии и их инженерно-геологическое районирование	67
М. Ш. Харатишвили — Террасы р. Риони и следы древних долин в окрестностях г. Они	76
Г. А. Липартелиани — О сущности тематической картографии	79
Д. К. Асатиани, Дж. И. Месхиа, Э. И. Гозалов — Географические закономерности распространения столбнячной палочки	90
Т. З. Кикилашвили — Материалы к делению южного нагорья Грузии по коэффициенту густоты речной сети	95
С. В. Меунаргия — Фильтрационный расчет осушительных каналов произвольного профиля методом последовательных конформных отображений	97
Г. К. Сулаквелидзе, З. В. Хведелидзе, Д. А. Мдинарадзе, З. М. Мыльникова — Оценка экономической эффективности противоградовых работ	105
М. А. Захашвили — Некоторые типичные распределения струйных течений над регионом Кавказа	119
А. А. Деметрашвили — К вопросу о климатических данных особо опасных сильных ветров над территорией Грузии	121
М. Г. Бокерия — Изучение закономерностей годового хода солнечного сияния приемом изоплет	125
<span style="border: 1px solid black; padding: 2px;">Александр Илларионович Джанелидзе</span> Некролог	135



## CONTENTS

### Geophysics

- G. Managadze, G. Datuashvili, N. Khundadze—On the analytical method of interpretation of residual anomaly . . . . . 10

### Geology

- G. Shengelaia—The three-dimensional model of the earth's crust and division of the gravitational field into regional and local components . . . 21  
Sh. Javakhishvili—The ultrabasic intrusion of the gorge of the Gvandra river . . . . . 28  
B. Tutberidze—Some new data on the texture of the Summit of Kulbaki 33  
V. Alpaidze, F. Shengelia—On the upper Sarmatian of Megrelia . . . 38  
G. Gongadze—A new species of *Echinocorys* from the upper maastriichtian of the southern border of the Dzirula massif . . . . . 42

### Geography

- N. Nachkebia—A functional typology of the rural settlements of Turkey and Iran . . . . . 49  
V. Gujavidze—The intensity and effectiveness of migrations in the urban settlements of Georgia . . . . . 58  
R. Gachechiladze—Use of sampling in area measurement of land-use types (The case of England) . . . . . 64  
E. Tsereteli—Regulation of the development of mudflows in the territory of Georgia and their engineering-geological regionalization . . . . . 71  
M. Kharatishvili—Terraces of the Rioni river and traces of old valleys in the environs of Oni . . . . . 77  
G. Liparteliani—On the essence of thematic cartography . . . . . 83  
D. Asatiani, J. Meskhia, E. Gozalov—Geographical regularities of the distribution of the tetanus bacillus . . . . . 90  
T. Kikilashvili—On the division of the south Georgian highlands by the channel density coefficient . . . . . 96  
S. Meunargia—Calculation of filtration for drainage canals of any profile using the method of consecutive conformal reflections . . . . . 104  
G. Sulakvelidze, J. Mdinaradze, Z. Khvedelidze, Z. Milnikova—Evaluation of the economic effect of hail preventiou measures . . . . . 113  
M. Zakhashvili—Some typical distributions of jet-streams over the Caucasus region . . . . . 120  
A. Demetrashvili—On the climatic characteristics of extremely dangerous winds over the territory of Georgia . . . . . 124  
M. Bokeria—A study of regularities in the annual course of solar radiance by the isopleth method (based on data from the Alpine station "Kazbegi" . . . 130



გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩხაიძე  
ტექნოლოგიური ი. ხუციშვილი  
კორექტორები ც. კვანტალიანი  
კ. სულხანიშვილი

გადაეცა წარმოებას 15/IX-75  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.V.76

ქაღალდის ფორმატი 70×108/16  
ნაბეჭდი თაბახი 12,25  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,84

შეკვეთა 1494                      შე 11169                      ტირაჟი 300

ფასა 1 ზან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И Чавчавадзе, 1.

86-1976.

ფასი 1 მან.

76-544  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური